დანართი #1

ДАДИАНЕБИС САСАХЛЕБИ ИСТОРИУЛ-АРХИТЕКТУРУЛИ МУЗЕУМИ

HISTORICAL-ARCHITECTURAL MUSEUM OF DADIANI PALACES

1921

ანგარიში

2022 წელი

შემოსავალი და მისი სტრუქტურა:

ჯამური შემოსავალი:	194403,4 (ასოთხმოცდათოთხმეტი ათას 403,4 ლარი)
სტუმართა ჯამური რაოდენობა:	49118 (ორმოცდაცხრა ათას 118) სტუმარი.

დამთვალიერებელთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით:

სტუდენტი-მოსწავლე:	20573 (ოცი ათას 573)
სტანდარტული ბილეთით:	20949 (ოცი ათას 949)
მათშორის უცხოელი სტუმარი:	3241 (სამი ათას 41) უცხოლების აღიცხვა დავიწყეთ მესამე კვარტლიდან.

ბოლო 5 წლის შემოსავლის ცხრილი (სურ.1) და გრაფიკი (სურ.2):

სურ.1

თვე	2018	2019	2020	2021	2022
I	1404	1331.5	2455	0	4786.4
II	1240	1750	1850	0	2011
III	1687.5	2874.5	41	1635	5231
IV	3013.5	4970	0	1967	8303
V	8740	13944	0	4732	12515.5
VI	34577	26906	0	10475	52180
VII	21956.5	21295	11561	14436	15695.5
VIII	25333	30237	14830	15453	32823.5
IX	21494	21922	4536	9964	20322
X	11465	14188	1284	4814	14798.5
XI	4370.5	5882	750	5130	16618
XII	1523	1599	0	2802	9119
	136804	**146899**	**37307**	**71408**	**194403.4**

სურ.2



2022 წელს დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის შემოსავალი, პანდემიანდელ 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაუმჯობესებულია 32 %-ით.

საგანმანათლებლო პროექტები:

შენიშვნა: **მუზეუმში არსებული საგანმანათლებლო პროექტების სამიზნე აუდიტორია მოსწავლეები არიან.**
2022 წლის 1 მარტიდან მუზეუმში ამოქმედდა საგანმანათლებლო პროექტები.

2022 წელს შემუშავდა და დამტკიცდა შემდეგი საგანმანათლებლო პროექტები:

- „გაზაფხული დადიანებში“
- „სააღდგომო ტრადიციები დადიანების სასახლიდან“
- „გახდი ძველი ქართული ანბანის მკვლევარი“
- „ვეფხისტყაოსანი და მიხაი ზიჩი“
- „პაპიე მაშე პრინცესა მიურატთან ერთად“
- „ოქროსფერი შემოდგომა“
- „დადიანების ევროპული ბაღი და ეკოლოგია“
- „ევროპული მემკვიდრეობა დადიანებში“
- „შობა-ახალი წლის ტრადიციები“

საგანმანათლებლო პროექტებს დაესწრო 7596 მოსწავლე.
ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 40350 ლარი.

გამოფენები:

- ✓ 2022 წლის 14 იანვარს, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის სამეჯლისო დარბაზში გაიხსნა გამოფენა **„ახალი სიცოცხელე მუზეუმის ექსპონატებს“**, სადაც წარმოდგენილი იყო 2018-2021 წელს რესტავრირებული ობიექტები. საზოგადოებას შესაძლებლობა ქონდა, უფასოდ, ჯამში 114 ექსპონატი დაეთვალიერებინა, სახვითი ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნების და ყოფა ეთნოგრაფიის ფოდებიდან. გამოფენა გაგრძლედა 25 მარტამდე 2022 წლის.
- ✓ 1 აპრილს უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლეში დიდ დარბაზში პირველად მოეწყო ახალგაზრდა მხატვრის გიგი სიჭინავას პერსონალური გამოფენა **„ყველა ფერი“**
- ✓ 14 აპრილს, სახელმწიფო ენის დღესთან დაკავშირებით, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის დიდ დარბაზში გამოიფინა უნიკალური ხელნაწერი წიგნების კოლექცია სახელად **,,დავით დადიანის უნიკალური ბიბლიოთეკა“**
- ✓ 2 ივნისს, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის დიდ დარბაზში, იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლისთავთან დაკავშირებით, იაპონიის საელჩოს ინიციატივით მოეწყო იაპონელი მკვლევარის ტაკეჰიდე ჰარადას ნამუშევრების ასლების მოძრავი გამოფენა - **,,წმინდა ფიროსმანი“.** ცნობილმა ქართველოლოგმა იასუჰირო კოჯიმამ იაპონია-საქართველოს კულტურული ურთიერთობების შესახებ წაიკითხა ლექცია.
- ✓ 8 ივლისს, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურლი მუზეუმის ნიკოსეულ სასახლეში გაიხსნა გამოფენა: **,,გერმანელი მხატვრები და კავკასია“**
- ✓ 12 აგვისტოს, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლეში, დიდი ქართველი მხატვრის, **პეტრე ოცხელის გრანდიოზული გამოფენა გაიხსნა.** (იხილეთ სიუჟეტი https://fb.watch/fZH2EfVkwq/)
- ✓ 29 ოქტომბერს უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლეში გაიხსნა გამოფენა **„ევროპული მემკვიდრეობა დადიანებში“**
- ✓ 22 დეკემბერს უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლე საახალწლოდ მოირთო და განათდა, სამეჯლისო დარბაზში მოეწყო გამოფენა **„უფლისწულის საახალსწო სუფრა“**

ღონისძიებების:

- ✓ 2022 წლის 30 იანვარს მუზეუმს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, ქალბატონი კელი დეგნანი. მუზეუმის თანამშრომლებმა ქალბატონ ელჩს დაათვალიერებინეს დედოფლისეული სასახლის მუდმივმოქმედი გამოფენები - „დადიანების მემორიალური ნივთების გამოფენა“ და „დადიანების სასახლეთა საგანძური“. ქალბატონ კელი დეგნანს შეძლებისდაგვარად გააცნეს მუზეუმის დამაარსებელი ბატონი აკაკი ჭანტურია. სტუმრობის დასასრულს, ქალბატონ ელჩს საგანგებოდ მისთვის საბიბლიოთეკო ფონდიდან გამოტანილი იმპერატორ ალექსანდრე მეორის კორონაციის უნიკალური ალბომი დავათვალიერებინეთ. საპატივცემულო სტუმარს საჩუქრად გადაეცა მუზეუმის თანამშრომლის, ქრისტიანული ხელოვნების ფონდის მცველის ქალბატონი ლილი ბერაიას წიგნი „დადიანების სასახლეთა საგანძური“ აღსანიშნავია, რომ სტუმრობის შემდგომ ამერიკის შეერთებული შტატების სრულ უფლებიანმა ელჩმა, ქალბატონმა კელი დეგნანმა მადლობის წერილი გამოუგზავნა მუზეუმს.
- ✓ 2022 წლის 12 მარტს დაარსდა “წარჩინებულ მოსწავლეთა კლუბი“, კლუბის დაარსების პროცეშია. კლუბის მიზანია წარჩინებული მოსწავლეების მხარდაჭერა და მათი მუზეუმთან დაახლოება.
- ✓ 7 მაისს, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის დიდ დარბაზში, თბილისის სოციალური კვლევის სკოლის ორგანიზებით ჩატარდა საჯარო კონფერენცია. შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენდა - საქართველოს დეოკუპაციისა და რეინტეგრაციის გამოწვევები: რუსეთ-უკრანის ომის კონტექსტში.
- ✓ 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუზეუმში მოეწყო დახურული ღონისძიება მუზეუმელებისათვის. მოეწყო ფოტოექსპოზიცია ,,აკაკი ჭანტურიას პირადი ნივთები და ფოტოები“. მუზეუმის თანამშრომელთა მიერ პატივი იქნა მიგებული და გვირგვინით შეიმკო მუზეუმის დამფუძნებლის, ბატონი აკაკი ჭანტურიას საფლავი.
- ✓ 27 მაისს, აფხაზეთის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ორგანიზებით უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის დიდ დარბაზში მოეწყო ჟურნალ ,,რიწის“ 2022 წლის პირველი ნომრის პრეზენტაცია.
- ✓ ივნისს, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის დიდ დარბაზში მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის ინტელექტკლუბმა ვიქტორინა - კონკურსი ,,ვიცოდეთ ჩვენი ქალაქის ისტორია“ - ფინალური შეხვედრა მოაწყო.
- ✓ 8 ივნისს, უფლიწულ ნიკო დადიანის სასახლის დიდ დარბაზში ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის ცენტრსა და დადიანების სასახლესთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია თემაზე ,,მინიატურებით ამეტყველებული ვეფხისტყაოსანი“.

- ✓ 1 ივლისს - დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმსა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
- ✓ 10 ივლისს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, საცეკვაო სტუდია ,,Queens dance"-ის აღსაზრდელებმა დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი დაათვალიერეს. საცეკვაო სტუდია საგასტროლო ტურით ანაკლიაში იმყოფებოდა. ახალგაზარდებს მეგზურობა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ ნინო ვიბლიანმა გაუწია.
- ✓ **15 ივლისს - ვლაქერნობის დღესასწაული.** მუზემმა, სამინისტროდან მიღებული ნებართვის საფუძველზე, ტრადიციულად მიიღო მონაწილეობა დღესასწაულის ორგანიზებაში.
- ✓ 19 ივლისს, მუზეუმმა აღნიშნა სასახლეების დღე, რომელიც ორგანიზებულია **Network of European Royal Residences**-ის მიერ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელოვნების სასახლე და ზუგდიდის დადიანების სასახლეები 2021 წელს ევროპის სამეფო რეზიდენციების ასოციაციამ მსოფლიოს ყველაზე ცნობილი სასახლეების რუკაზე განათავსა.
- ✓ 19 ილისს, **ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით**, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის დიდ სამეჯლისო დარბაზში საზეიმო მიღება გამართა. შეხვედრას თითქმის ყველა სფეროსა და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელები ესწრებოდნენ.
- ✓ 1 აგვისტოს, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის წინა ეზოში მიმდინარეობდა ისტორიული საგანმანათლებლო ფილმის, სახელწოდებით - "ინდიგო" გადაღება, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომპანია „Laco films" და „20 სტეპს ინთერნეიშენალი"
- ✓ 26 აგვისტოს, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს, **ნიდერლანდების სამეფოს ელჩი მააიკე ვან კოლდამი ესტუმრა.**
- ✓ 9 სექტემბერს, **პოლონეთის ქალაქ სეინის, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი "ხელოვნების, კულტურის, ერების საზღვარი"**, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს, ქალაქ სეინის კლეზმერის ორკესტრთან ერთად ესტუმრა. 9,10 სექტემეზერს პოლონელმა სტუმრებმა მუზეუმში სხვადასხვა ღონისძიება, მათშორის სპეკტაკლი, კლეზმერ მუსიკის კონცერტი და წიგნის პრეზენტაცია გამართეს. მუზეუმტან ერთად სტუმრებს უმასპინძლა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ და ზუგდიდის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ.
- ✓ 12 სექტემბერს დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის კოლექტივი **მუზეუმელთა ალიანსის პირველ ასამბლეას** დაესწრო, თბილისში. ყრილობაზე - ნაზიბროლა ქორთუა - სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის მცველი - ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი

სამსახურისათვის საუკეთესო მუზეუმელად დასახლედა და დასაჩუქრდა მედლით და ფულადი პრიზით.

- ✓ 15 სექტემბერს, ზუგდიდის წმნიდა გიორგის სახელობის სკოლა ლიცეუმში, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმსა და ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმს შორის.
- ✓ 19 სექტემბერს, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის სამეჯლისო დარბაზში პროექტის EU4Culture ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის დაჯილდოების ცერემონია შედგა.
- ✓ 21 სექტემბერს, **მშვიდობის საერთაშორისო დღეს, ,,ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის საერთაშორისო პრემია 2022 ახალგაზრდებისთვის“,** რიგით მეოთხე დაჯილდოების ცერემონია, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის, უფლისწულ ნიკო დადიანის სამეჯლისო დარბაზში გაიმართა.
- ✓ 28 სექტემბერს, დადინების სასახლეთა ისტორიულ-არქიტეტურულმა მუზეუმმა, მუზეუმის წინ მდებარე პარკში კლასიკური მუსიკის პირველ ფესტივალს უმასპინძლა, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა. კლასიკური მუსიკის ფესტივალს ხელმძღვანელობდა დირიჟორი, კომპოზიტორი ნიკოლოზ რაჭველი. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა საპატიო ზუგდიდელის სტატუსის მინიჭების ცერემონიალი, სადაც საპატიო ზუგიდელად დასახელდა დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიოტექტურული მუზეუმის თანამშრომელი (ქრისტიანული ხელოვნების ფონდის მცველი) ქალბატონი ლილი ბერაია. (იხილეთ სიუჟეტი https://fb.watch/fZIfnr2lLr/)
- ✓ 10 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით მუზეუმში მიმდინარეობდა „საშობაოა მეჯლისი დადიანებში“ გადაღება. გადაღებები განხოციელდა კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტორს ნებართვით და მხარდაჭერით. გადაღებები დაგეგმა და განახორციელა „პრაიმ შოუ სტუდიო“. სრული ვერსია 2023 წლის 6 იანვარს ტელეკომპანია იმედის ტვ-ს ეთერში 22:30 წუთზე გავიდა.
- ✓ 1-10 ნოემბერს მუზეუმის წინ მდებარე პარკში და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გაიმართა ღვინის ფესტივალი, რომელიც დასრულდა გალა კონცერტით დედოფლისეული სასახლის წინ მდებარე პარკში.
- ✓ 2022 წლის 15 დეკემებრს, დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურლი მუზეუმის, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის დიდ დარბაზში, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ათინათის" ორგანიზებითა და საქართველოს გაეროს ასოციაცია, აშშ-ის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" - პრეზენტაცია ჩატარდა.
- ✓ 12 ნოემბერს დადიანების სასახალეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში ევროპული მემკვიდრეობის დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე ,,დადიანები და ევროპა“.
- ✓ 31 დეკემბერს დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის უფლისწულის სასახლის სამეჯლისო დარბაზში, ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით გაიმართა შეხვადრა 2022-2023 საწავლო წლის მერის სტიპენდიანტებთან.
მერიამ სტიპენდიანტებს სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

დაფინანსება და პროექტები

- ✓ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა პროექტი **„ნიკოსეული სასახლის გადაიარაღება“.** დაფინანსების ჯამური ოდენობა 21750 ლარი, რაც სრულად იქნა ათვისებული. პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი შეიქმნა მუზეუმში საგანმანათლებლო პროექტების ჩატარება და მცირე, 100 პერსონამდე ღონისძიებების ჩატარება.
- ✓ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ნებართვის საფუძველზე მუზეუმის წინ მდებარე პარკში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე კოლხური ბზის ხეივანს. რეაბილიტაცია დასრულებულია, 110 ახალი კოლხური ბზის ნერგით შეივსო ხევანი.
- ✓ **საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმმა აშშ-ის საელჩოს გრანტი (300 ათასი დოლარი)** მოიპოვა. **გრანტის მიზანია ზუგდიდის დედოფლისეული სასახლის რამდენიმე საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია, ასევე - ისტორიული ნივთების რესტავრაცია და კონსერვაცია.** გრანტით გათვალისწინებულ სამუშაოებში, ზუგდიდის დადიანების სასახლის თანამშრომლებსა და უცხოელ კოლეგებთან ერთად, ჩაერთვებიან ხელოვნების სასახლის თანამშრომლები.
(იხილეთ ვიდეო:
https://www.facebook.com/MinistryofCultureSportandYouth/videos/819733952668826)

ფონდები და სამეცნიერო მუშაობა:

საფონდო სამუშაოები 2022 წელს მრავალფეროვნად წარიმართა, ფონდები შეივსო სხვადასხვა სახის და ღირებულების ექსპონატებით.

მიმდინარე წელს დაიწყო, 2021-22 წლებში ინვენტარიზაციის შედეგად, ფონდებში გამოვლენილი აღურიცხავი ნივთების დავთარში გატარება, მთელი წლის განმავლობაში ძირითად შემოსულობათა წიგნში აღინუსხა 231 ერთეული.

აღსანიშნავია ცაიშის სამაროვანზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები: გვიან ბრინჯაო,ადრე რკინის არტეფაქტები,ყოფისა და ეთნოგრაფიის ნივთები რომელიც მუზეუმს გადასცა არქეოლოგმა, პროფესორმა ბატონმა რევაზ პაპუაშვილმა, სულ 119 ერთეული.

იყო შემოწირულობებიც:

1. საწნახელი მიურატისეული, რომელიც მუზეუმს შემოსწირა ადგილობრივმა მკვიდრმა დავით ჭითანავამ, რომლის წინაპარიც მუშაობდა აშილ მიურატთან, ნასყიდობის დამადასტურებელი დოკუმენტით.
2. კედლის სარკე,ასევე კერძო პირისგან.
3. წიგნები ათეულობით, სხვადასხვა ჟანრის.
4. ფერწერული ნამუშევრები, თანამედროვე მხატვრების რეზო ადამიასა და მაცი(მიშა) ხორავას ავტორობით შესრულებული-შემომწირველი ზუგდიდელი ოთარ ჭითანავა.
5. ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი.
6. შვედური ბიბლია 19 საუკუნე.

საქართველოს მუზეუმების საინფორმაციო სისტემაში (egmc.gov.ge.) დარეგისტრირებულია 1090 ერთეული ექსპონატი.

ფონდის მცველები (ფონდები დაყოფილია დარგების მიხედვით, სულ რვა ფონდი) მუდმივად ახდენენ თავიანთ ფონდებში დაცული კოლექციების დამუშავებას, მათ პოპულარიზაციას, Fb გვერდზე იდება მათ მიერ მომზადებული სტატიები, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მუზეუმში გამართული გამოფენების მოწყობაში.

მონაწილეობენ კონფერენციებში:

1.ევროპული მემკვიდრეობის დღეებისადმი მიძღვნილი.

2.ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არქეოლოგ ალექსანდრე რამიშვილისადმი მიძღვნილი.

მუზეუმი, რუსთაველის სახელმწიფო ფონდის მიერ დაფინანსებულ ორი პროექტში იღებს მონაწილეობა:

1. მუზეუმის ფონდის მცველები ჩართულნი არიან ორწლიან პროექტში „სამეგრელოს რეგიონი-მისი წარსული და კულტურის ისტორია“, რომელიც ხოლციელდება ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორიის და ხაშურის მხარეთმცოდენობის მუზეუმების ჩართუობით.
2. დოქტორ გვანცა ვაჩაძეს პროექტი, რომლის ფარგლებში ქალბატონი გვანცა იკვლევს დადიანების სასახლეთა ფონდებში დაცულ ცაიშის სამაროვანში მოპოვებულ მინის მასალას. სამინისიტროს ნებართვის საფუძველზე მასალა გაგზავნილია თბილისის ტექნიკური უნივერსისტეტის ლაბორატორიაში. 2023 წლის მარტი-აპრილის თვეში ველოდებით შედეგებს.

პატივიცხემით,

დადინაბის სასახლეთა ისტორიულ- არქიტექტურული მუზეუმი

2022 წლის ანგარიში